

მიმდინარე სავალუტო ოპერაციები

თიბისი ბანკის მომხმარებლებს გაქვთ შესაძლებლობა გაანხორციელოთ კონვერტაციები ყველა ძირითად ვალუტაში: GEL, USD, EUR, GBP, CHF, JPY, RUR და სხვა.

კონვერტაციები შეღავათიანი კურსით

თიბისი ბანკი გთავაზობთ შეღავათიან კურსებს ნებისმიერ სავალუტო წყვილის კონვერტაციაზე, რომლის მინიმალური მოცულობა შეადგენს 5,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს. აღნიშნული კურსების მოთხოვნა შესაძლებელია ტელეფონის ან ინტერნეტ ბანკის მეშვეობით.

USD/GEL სავალუტო წყვილზე, გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ განსაკუთრებული შეღავათიანი კურსებით:

თიბისის რეკომენდირებული კურსი

თიბისის რეკომენდირებულ კურსად აღებულია Bloomberg-ის სავაჭრო სისტემაში ყველა ბანკს შორის არსებული **საუკეთესო კურსი**. აღნიშნული კურსით სარგებლობა შესაძლებელია ყოველ სამუშაო დღეს 10:30-დან 11:30-მდე. მინიმალური თანხის მოცულობა შეადგენს 5,000 აშშ დოლარს, მაქსიმალური - 300,000 აშშ დოლარს. თუ დასაკონვერტირებელი თანხა აღემატება მაქსიმალურს, საჭიროა დამატებითი შეთანხმება თიბისი ბანკის ხაზინასთან.

თიბისის კურსი Bloomberg-ზე

თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ **თიბისის არსებული კურსით** Bloomberg-ის ბანკთაშორის სავაჭრო სისტემაში. აღნიშნული კურსით სარგებლობა შესაძლებელია ყოველ სამუშაო დღეს 10:00-დან 17:00-მდე. მინიმალური კონვერტაციის თანხა შეადგენს 20,000 აშშ დოლარს, მაქსიმალური - 500,000 აშშ დოლარს. თუ დასაკონვერტირებელი თანხა აღემატება მაქსიმალურს, საჭიროა დამატებითი შეთანხმება თიბისი ბანკის ხაზინასთან.

სხვადასხვა სავალუტო წყვილზე, ასევე გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ განსაკუთრებული შეღავათიანი კურსებით:

კონვერტაციები ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით

USD/GEL და EUR/GEL სავალუტო წყვილებზე გთავაზობთ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ოფიციალურ კურსებს. აღნიშნულ პროდუქტზე საკომისიოს დადგენა ხდება თიბისი ბანკის ხაზინასთან შეთანხმებით. მინიმალური თანხის მოცულობა - 100,000 აშშ დოლარი.

კონვერტაციები კლიენტის მოთხოვნილი კურსით - შეკვეთით (ორდერი)

თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა თავად განსაზღვროთ თუ რა კურსით გსურს ამა თუ იმ ვალუტის შეძენა ან გაყიდვა. ამ პროდუქტით სარგებლობისათვის საჭიროა დაუკავშირდეთ თიბისი ბანკის დილერებს და დაუტოვოთ მოთხოვნილ კურსზე ორდერი. სავალუტო კონვერტაციის შესრულება შესაძლებელია, როგორც მიმდინარე დღის ვალუტირებით, ასევე მიმდინარეს +1 ან +2 დღე. მინიმალური თანხის მოცულობა - 100,000 აშშ დოლარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ხაზინას
ტელ: (995) 32 2272727 (*1102)